



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

დამტკიცებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2012 წლის 6 ივლისის
N733 დადგენილებით

მოდიფიცირებულია
სტუ-ს აკადემიური საბჭოს
2018 წლის 2 აპრილის
N01-05-04/95
დადგენილებით

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

საგზაო ინჟინერია

Road Engineering

ფაკულტეტი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

Faculty of Transportation and Mechanical Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი ნუგზარ რურუა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინჟინერიის მაგისტრი ტრანსპორტში

მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების

საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩარიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საგზაო ინჟინერია“ შექმნილია დარგის სპეციფიკისა და სიახლეების, უცხოური უნივერსიტეტების გამოცდილებებზე დაყრდნობითა და შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „საგზაო ინჟინერია“ პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი შეადგენს 25 საათს, რომელშიც იგულისხმება, როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს 120 კრედიტს.

სტუდენტმა მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „საგზაო ინჟინერია“ ფარგლებში ტრანსპორტის ინჟინერიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისთვის უნდა დააგროვოს არანაკლებ 120 კრედიტი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და ძირითადი კვალიფიკაციისთვის საჭირო შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მეორე საფეხურის (მაგისტრატურის) აღმწერის დონით.

კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში.

საგანმანათლებლო პროგრამა ივალისწინებს, როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი სასწავლო კურსებისთვის განსაზღვრულ კრედიტებს.

საგანმანათლებლო პროგრამაში კომპონენტების თანაფარდობა შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

სასწავლო კომპონენტი – 75 კრედიტი;

კვლევითი კომპონენტი – 45 კრედიტი.

სასწავლო კომპონენტი წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობის სახით:

საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო კურსებს – 20 კრედიტი;

სპეციალობასთან დაკავშირებული საერთო ტექნიკურ სასწავლო კურსებს – 21 კრედიტი;

არჩევითი სამაგისტრო თემატიკის სასწავლო კურსები, რომელიც მოიცავს 4 თემატიკის მიხედვით დაჯგუფებულ სასწავლო კურსებს – 34-34 კრედიტის მოცულობით.

კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია შემდეგი თანაფარდობით:

სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი – 5 კრედიტი;

თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი – 10 კრედიტი;

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა – 30 კრედიტი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულებაში მაგისტრატურის შესახებ და მის დანართებში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო პროცესის ორგანიზების, სტუდენტთა მიღწევების შეფასების, სტუდენტებთან სასწავლო და საფინანსო ხელშეკრულებების, სტუდენტის მიერ კრედიტების დაგროვების, სამაგისტრო ნაშრომისადმი წაყენებული

მოთხოვნების, კვლევითი კომპონენტის შეფასების შესახებ და სხვ. (იხ. http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleba_2017_SD.pdf)

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „საგზაო ინჟინერია“ სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო კურსები დალაგებულია ლოგიკური თანმიმდევრობით.

სასწავლო გეგმაში მოცემულია ინფორმაცია სასწავლო კურსების დაშვების წინაპირობების შესახებ.

- პირველი წლის სასწავლო პროცესში 20 კრედიტი ეთმობა საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო სასწავლო კურსების, 17 კრედიტი სპეციალობასთან დაკავშირებული საერთო ტექნიკურ სასწავლო კურსების, 18 კრედიტი არჩევითი სამაგისტრო თემატიკის სასწავლო კურსების ათვისებას და 5 კრედიტი სამაგისტრო კვლევის პროექტის/პროსპექტუსს მომზადებას;
- მეორე წლის სასწავლო პროცესში 4 კრედიტი ეთმობა პრაქტიკას, 16 კრედიტი არჩევითი სამაგისტრო თემატიკის სასწავლო კურსების ათვისებას, 10 კრედიტი თეორიული /ექსპერიმენტული კვლევის/კოლოქვიუმის მომზადებას და 30 კრედიტი სამაგისტრო ნაშრომის დასრულებასა და დაცვას.

პროგრამა განხორციელდება ქართულ ენაზე.

პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს საგზაო ინჟინერიის დარგში დასაქმების ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სპეციალისტი, რომელიც უზრუნველყოფს: ნებისმიერი სირთულის და მოცულობის საგზაო ინჟინერიის ობიექტების საინჟინრო და ეკონომიკურ კვლევა-ძიებას, დაპროექტებას, მშენებლობას, ექსპლუატაციას, ზედამხედველობის განხორციელებას, კონსტრუქციულ

მოდერნიზირებას, რესურსების რაციონალურ გამოყენებასა და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვას, საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების ეფექტიან ფუნქციონირებას უსაფრთხო და შეუფერხებელი მოძრაობის პირობების დაცვით, მათ შორის ეკოლოგიურ უსაფრთხოებას; დაამუშავებს

და დანერგავს ინოვაციურ პროგრესულ ტექნოლოგიებს ადგილობრივ პირობებთან მისადაგებით; საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების მტყუნების შეფასებას, ანალიზსა და ექსპერტიზას; შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლს; ტექნიკური სწავლების ჩატარებას, კვლევების წარმოებას და ტექნიკურ-ეკონომიკური გაანგარიშებების შესრულებას იმ ღონისძიებათა დამუშავებისას, რომლებიც მიმართულია საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების ეფექტური მუშაობის ამაღლებისა და მისი შემდგომი განვითარებისთვის.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება:

- საგზაო ინჟინერიის სფეროს ღრმა და სისტემური ცოდნა, პრობლემური საკითხების ჩამოყალიბების სტრატეგიის ფორმულირებისათვის საჭირო ცოდნა, რომელიც იძლევა ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას თანამედროვე მეთოდების გაცნობიერებით;
- საგზაო ინჟინერიის ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის ეფექტიანობის განმსაზღვრელი კრიტერიუმების შერჩევის, მათი კლასიფიციკაციის, შედარების და შეჯამების თანამედროვე მეთოდების ცოდნა და

გაცნობიერება.

- კონკრეტულ საექსპლუატაციო პირობებში სხვადასხვა სახის შეკეთებების გამოყენების კრიტიკული ანალიზის, მუშაობის პარამეტრების სინთეზის და შედეგების ურთიერთშედარების თეორიული საკითხების ცოდნა და გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის სფეროს მუშაობის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის და მისი ტექნიკურ-ეკონომიკური ეფექტიანობის კრიტერიუმების ცოდნა და გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის დარგში დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის, სამუშაოთა შესრულების ტექნოლოგიების დამუშავებისა და კორექტირების თანამედროვე მეთოდების სისტემური ცოდნა და გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის დარგში მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე მეთოდების ცოდნა და გაცნობიერება;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში ეკოლოგიური უსაფრთხოების კვლევის, ანალიზისა და მათი ამალღების კომპლექსურ ღონისძიებათა ცოდნა და გაცნობიერება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:

- საგზაო ინჟინერიის სფეროში ახალ, გაუთვალისწინებელ, ექსტრემალურ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში კრიტიკული აზროვნების, ახალი ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიებისა, მათ შორის, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის კონკრეტული ამოცანის ოპტიმალური გადაწყვეტის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დარგში დასახული მიზნების მისაღწევად მთავარი საკითხების (კომპონენტების) გამოყოფის უნარი, სამუშაო მიზნების მისაღწევად ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისა და საგზაო ინჟინერიის სფეროში სისტემური ცოდნის გამოვლენის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის მდგრადი განვითარებისათვის ტექნიკური ანალიზის ჩატარების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოში ტექნიკურად უსაფრთხო ფუნქციონირების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში ექსპერიმენტების, საველე და ლაბორატორიული სამუშაოების დამოუკიდებლად განხორციელებისა და მიღებული მონაცემების ანალიზის/ინტერპრეტაციის უნარი.

დასკვნის უნარი:

- საგზაო ინჟინერიის დარგში სრული და არასრული ინფორმაციის (მათ შორის, უახლესი კვლევების) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებისა და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;
- გუნდური გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის, ინიციატივისა და დასაბუთებული დასკვნების გამოვლენის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის დარგის ხარისხის მართვის სისტემის თანამედროვე მეთოდების გამოყენების დასაბუთების უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე მოქმედი ფაქტორების გავლენის კრიტიკული ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის ეფექტიანობის შემფასებელი კრიტერიუმების, ტექნიკურად მზადყოფნის და გამოყენების კოეფიციენტების ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებისათვის დასახული ღონისძიებებით მიღებული ეფექტიანობის განსაზღვრის, ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის უნარი.

კომუნიკაციის უნარი:

- თავისი დასკვნების, არგუმენტირებული მსჯელობის, კვლევის მეთოდების და მიღებული შედეგების სრულყოფილად და გასაგებად წარმოჩინების უნარი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში კვლევის წარმოების და მათი შედეგების გასაჯაროებისას აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან კვლევის შედეგების, მეთოდების და დარგის პრობლემატიკის წარმოჩინების უნარი თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გამოყენებით.

სწავლის უნარი:

- სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის, სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერებისა და მისი სტრატეგიულად მაღალი დონეზე დაგეგმვის უნარი;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში პროფესიული ცოდნისა და გამოცდილების გამდიდრების მიზნით, საკუთარი სწავლის მიმართულებების განსაზღვრა.

ღირებულებები:

- ღირებულებების, ეთიკისა და მორალის მიღებული ნორმების დაცვა და პროფესიული ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასება, ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა;
- საგზაო ინჟინერიის სფეროში სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის, ეკოლოგიური და სიცოცხლის უსაფრთხოების ამაღლებისკენ მუდმივი სწრაფვა, კვლევების წარმოება მათი გაუმჯობესებისთვის და კვლევით მიღებული უტყუარი შედეგების დამკვიდრებისთვის ზრუნვა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის ობიექტების სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებისდაცვითი მნიშვნელობის გაცნობიერების საფუძველზე დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროცესში სათანადო ღონისძებების გათვალისწინებისა და მისი პრაქტიკაში აქტიური დანერგვისადმი სწრაფვის უნარი.

მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა
- საკურსო სამუშაო/პროექტი სამაგისტრო ნაშრომი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა

სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოიყენება სწავლება-სწავლის მეთოდების ქვემოთ მოცემული აქტივობები, რომელიც ასახულია შესაბამის სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში):

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
2. **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

3. **გონებრივი იერიში (Brain storming)** – პრობლემის გადაჭრის ოპერატიული მეთოდი შემოქმედებითი აქტიურობის სტიმულირების საფუძველზე. მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებისა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედეგადად რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- ❑ პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- ❑ დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- ❑ შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- ❑ შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- ❑ გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- ❑ უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. **დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

9. **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

10. **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

11. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და

ითვისებენ.

12. **წერიტი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

13. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შექმნილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავლე მუშაობა და სხვ.

14. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

15. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** - არის სასწავლო-შემეცნებითი ხერხების ერთობლიობა, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას იძლევა სტუდენტის დამოუკიდებელი მოქმედებებისა და მიღებული შედეგების აუცილებელი პრეზენტაციის პირობებში. ამ მეთოდით სწავლება ამალღებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ, დამაჯერებლად და კონკრეტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ან რამდენიმე საგნის (საგანთა ინტეგრაციის) ფარგლებში. დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედურ

შეფასებაში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (დააგროვა არანაკლებ 30 ქულისა) და აგრეთვე, შეასრულა და დროულად ჩააბარა სასწავლო კურსის პროგრამით განსაზღვრული სილაბუსის დოკუმენტური მასალა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შუასემესტრული გამოცდის, დოკუმენტური მასალის ჩაბარებისა და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ვადების შესახებ მითითებული იქნება რექტორის ბრძანებაში სემესტრის ჩატარების განრიგის შესახებ.

შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, მათ შორის:

ა) მიმდინარე აქტივობის შეფასება-მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური ჯამური შეფასება-15 ქულა;

ბ) შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური ქულაა 30, მინიმალური შეფასება-15 ქულა; დასკვნითი/დამატებითი გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 40 ქულა, კომპეტენციის მინიმალური ზღვარის დამადასტურებელი დადებითი შეფასებაა 20 ქულა.

51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგრამ დასკვნით გამოცდაზე კომპეტენციის მინიმალური ზღვარის ვერ გადალახვის შემთხვევაში, ისევე როგორც FX-ის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების (დაგროვების) შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

დასაქმების სფერო

პროგრამის ფარგლებში შექმნილი ცოდნით კურსდამთავრებულებს შეეძლებათ წარმატებული მუშაობა და კარიერული ზრდა სამშენებლო და სატრანსპორტო კომპანიებში, საგზაო ინფრასტრუქტურის მართვის კომპანიებში; საქართველოს რკინიგზის და საავტომობილო გზების დეპარტამენტის ცენტრალურ და სახაზო ორგანიზაციებში; მეტროპოლიტენში. სარკინიგზო და საავტომობილო გზების, საქალაქო საავტომობილო და სარელსო გზების, ხიდების, გვირაბების, მცირე ხელოვნური ნაგებობების, სამხედრო-საინჟინრო, სამთო, სამრეწველო და სამოქალაქო ობიექტების მშენებელ და საექსპლუატაციო ორგანიზაციებში, ასევე კვლევით და საპროექტო ორგანიზაციებში, სახელმწიფო ზედამხედველობის სტრუქტურებში, საექსპერტო ბიუროებში, სასწავლო დაწესებულებებში.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

(დანართი 1 – სილაბუსები, დანართი 2 –ადამიანური რესურსი, დანართი 3 – მატერიალური რესურსი, დანართი 4 – ხელშეკრულებები).

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1. ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	არ აქვს	5			
	1.2. ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)	არ აქვს				
	1.3. ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)	არ აქვს				
	1.4. ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს				
2	2.1. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	არ აქვს	5			
	2.2. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	არ აქვს				
	2.3. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	არ აქვს				
	2.4. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს				
3	საინჟინრო კვლევის საფუძვლები	არ აქვს	5			
4	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	არ აქვს	5			
5	პროექტის მენეჯმენტი საგზაო ინჟინერიაში	არ აქვს	5			
6	სისტემური მიდგომის საფუძვლები ხელოვნური ნაგებობების დაპროექტებისადმი	არ აქვს	4			
7	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სტიქიური მოვლენები	არ აქვს	4			
8	ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვა	არ აქვს		4		
9	პრაქტიკა	არ აქვს			4	
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „რკინიგზის ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობა“						
10	რკინიგზების რეკონსტრუქცია/მოდერნიზაცია	ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების		6		

		მართვა				
11	ლიანდაგის მოწყობა მისი ელემენტების სიმტკიცეზე და მდგრადობაზე გაანგარიშებით	არ აქვს		7		
12	ლიანდაგის მდგომარეობის კონტროლი და შეფასება	არ აქვს		5		
13	რკინიგზების დაპროექტებისა და მშენებლობის თავისებურებები რთულ მთიან პირობებში	რკინიგზების რეკონსტრუქცია/ მოდერნიზაცია			4	
14	ლიანდაგის მოწყობის და მოვლა-შენახვის ტექნიკური პირობები და ნორმები	ლიანდაგის მოწყობა მისი ელემენტების სიმტკიცეზე და მდგრადობაზე გაანგარიშებით ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვა			4	
15	მეორე ლიანდაგების დაპროექტება	რკინიგზების რეკონსტრუქცია/ მოდერნიზაცია			4	
16	"რელსი-თვალი" დინამიკური სისტემის ურთიერთქმედების კვლევის მეთოდები	ლიანდაგის მოწყობა მისი ელემენტების სიმტკიცეზე და მდგრადობაზე გაანგარიშებით			4	
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „ხიდები“						
17	რკინაბეტონის ხიდების გაანგარიშება და დაპროექტება	სისტემური მიდგომის საფუძვლები ხელოვნური ნაგებობების დაპროექტებისა დმი		7		
18	დიდმალიანი ხიდების მშენებლობა	პროექტის მენეჯმენტი საგზაო ინჟინერიაში ტრანსპორტისა და		5		

		სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვა				
19	ხიდების ექსპლუატაცია და გამოკვლევა-გამოცდა	არ აქვს		6		
20	სეისმომედეგი ხიდები	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სტიქიური მოვლენები			4	
21	საგზაო ხელოვნური ნაგებობების გაანგარიშების მეთოდები	სისტემური მიდგომის საფუძვლები ხელოვნური ნაგებობების დაპროექტებისა დმი			4	
22	ხიდების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია	რკინაბეტონის ხიდების გაანგარიშება და დაპროექტება			4	
23	ფოლადის ხიდების გაანგარიშება და დაპროექტება	არ აქვს			4	
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „სატრანსპორტო გვირაბები“						
24	მეტროპოლიტენები	არ აქვს		7		
25	მიწისქვეშა ნაგებობების მექანიკა	სისტემური მიდგომის საფუძვლები ხელოვნური ნაგებობების დაპროექტებისა დმი			5	
26	გვირაბების გაყვანის თანამედროვე მეთოდები	სისტემური მიდგომის საფუძვლები ხელოვნური ნაგებობების დაპროექტებისა დმი			6	
27	გვირაბების კოროზია და წყალმოცილება	არ აქვს			4	
28	სამთო გვირაბების მონიტორინგი	არ აქვს			4	
29	გვირაბების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია	ტრანსპორტისა			4	

		და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვა				
30	გვირაბის მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტება	პროექტის მენეჯმენტი საგზაო ინჟინერიაში			4	
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „საავტომობილო გზები და აეროდრომები“						
31	მოდრაობის უსაფრთხოების შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებები საავტომობილო გზებზე	ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვა		7		
32	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა რთულ პირობებში	ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვაპროექტი ს მენეჯმენტი საგზაო ინჟინერიაში		6		
33	საგზაო და სააეროდრომო ფენილები	არ აქვს		5		
34	საავტომობილო მაგისტრალეები	საგზაო და სააეროდრომო ფენილები			4	
35	საქალაქო გზები და ქუჩები	საგზაო და სააეროდრომო ფენილები			4	
36	საავტომობილო გზები რთულ ბუნებრივ პირობებში	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სტიქიური მოვლენები			4	

37	საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია	ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვა			4	
სემესტრში			28	27	20	0
სულ:						
კვლევითი კომპონენტი:						
38	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
39	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
40	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	წინამდებარე პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო და კვლევითი კომპონენტი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

სწავლის შედეგების რუკა

№	საგანი	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
1	1.1. ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	X	X		X	X	X
	1.2. ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)	X	X		X	X	X
	1.3. ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)	X	X		X	X	X
	1.4. ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	X	X		X	X	X
2	2.1. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	X	X	X	X		
	2.2. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	X	X	X	X		
	2.3. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)	X	X	X	X		
	2.4. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	X	X	X	X		
3	საინჟინრო კვლევის საფუძვლები	X	X			X	X
4	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	X	X			X	
5	პროექტის მენეჯმენტი საგზაო ინჟინერიაში	X	X	X			X
6	სისტემური მიდგომის საფუძვლები ხელოვნური ნაგებობების დაპროექტებისადმი	X		X		X	
7	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სტიქიური მოვლენები	X	X	X	X		X
8	ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვა	X	X	X			X
9	პრაქტიკა	X	X	X	X	X	X
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „რკინიგზის ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობა“							
10	რკინიგზების რეკონსტრუქცია/მოდერნიზაცია	X	X	X	X		X
11	ლიანდაგის მოწყობა მისი ელემენტების სიმტკიცეზე და მდგრადობაზე გაანგარიშებით	X	X	X	X		
12	ლიანდაგის მდგომარეობის კონტროლი და შეფასება	X	X	X		X	X
13	რკინიგზების დაპროექტებისა და მშენებლობის თავისებურებები მთიან პირობებში	X	X	X			X
14	ლიანდაგის მოწყობის და მოვლა-შენახვის ტექნიკური პირობები და ნორმები	X	X	X		X	
15	მეორე ლიანდაგების დაპროექტება	X	X	X	X		
16	"რელსი-თვალი" დინამიკური სისტემის ურთიერთქმედების კვლევის მეთოდები	X	X	X	X	X	X
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „ხიდები“							

17	რკინაბეტონის ხიდების გაანგარიშება და დაპროექტება	X	X	X	X	X	X
18	დიდმალიანი ხიდების მშენებლობა	X	X	X		X	X
19	ხიდების ექსპლუატაცია და გამოკვლევა-გამოცდა	X	X	X		X	X
20	სეისმომედეგი ხიდები	X	X	X		X	
21	საგზაო ხელოვნური ნაგებობების გაანგარიშების მეთოდები	X	X	X		X	X
22	ხიდების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია	X	X	X		X	
23	ფოლადის ხიდების გაანგარიშება და დაპროექტება	X	X	X	X	X	X
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „სატრანსპორტო გვირაბები“							
24	მეტროპოლიტენები	X	X			X	
25	მიწისქვეშა ნაგებობების მექანიკა	X	X	X		X	X
26	გვირაბების გაყვანის თანამედროვე მეთოდები	X	X			X	
27	გვირაბების კოროზია და წყალმოცილება	X	X	X		X	
28	სამთო გვირაბების მონიტორინგი	X		X			X
29	გვირაბების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია	X	X	X		X	X
30	გვირაბის მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტება	X	X	X		X	
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „საავტომობილო გზები და აეროდრომები“							
31	მოდრაობის უსაფრთხოების შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებები საავტომობილო გზებზე	X	X	X	X	X	X
32	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა რთულ პირობებში	X	X	X		X	X
33	საგზაო და სააეროდრომო ფენილები	X	X	X		X	
34	საავტომობილო მაგისტრალეები	X	X	X	X	X	
35	საქალაქო გზები და ქუჩები	X	X	X	X	X	
36	საავტომობილო გზები რთულ ბუნებრივ პირობებში	X	X	X	X	X	X
37	საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია	X	X	X		X	X
კვლევითი კომპონენტი:							
38	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	X	X	X	X	X	X
39	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	X	X	X	X	X	X
40	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	X	X	X	X	X	X

პროგრამის სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	საგანი	ESTS კრედიტი/საათი	საათი									
				ლექცია	სემინარი (ჯგუფში მომსახობა)	პრაქტიკული	ლაბორატორიული	პრაქტიკა	საკურსო სამუშაო/პროექტი	შუასემესტრული გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	დამოუკიდებელი მუშაობა	
1	LEH12412G1	1.1. ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური)	5/125			45					2	2	76
	LEH12212G1	1.2. ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული)				45					2	2	76
	LEH12612G1	1.3. ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული)				45					2	2	76
	LEH12812G1	1.4. ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)				45					2	2	76
2	LEH12512G1	2.1. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური)	5/125	15		30					2	2	76
	LEH12312G1	2.2. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)		15		30					2	2	76
	LEH12712G1	2.3. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული)		15		30					2	2	76
	LEH12912G1	2.4. დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)		15		30					2	2	76
3	EET99205G1	საინჟინრო კვლევის საფუძვლები	5/125	15	30						1	1	78
4	BUA36402G1	სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი	5/125	15			30				1	2	77
5	BUA79805G1	პროექტის მენეჯმენტი საგზაო ინჟინერიაში	5/125	30	15						1	1	78
6	AAC34405G2	სისტემური მიდგომის საფუძვლები ხელოვნური ნაგებობების დაპროექტებისადმი	4/100	15	15						1	1	68

7	AAC34505G2	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სტიქიური მოვლენები	4/100	15		15				1	1	68
8	EET93605G2	ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედება და ნარჩენების მართვა	4/100	15	15					1	1	68
9	EET93695G1	პრაქტიკა	4/100						45	2	2	51
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „რკინიგზის ლიანდაგი და სალიანდაგო მეურნეობა“												
10	AAC34605G2	რკინიგზების რეკონსტრუქცია/მოდერნიზაცია	6/150	30					30	2	2	86
11	AAC34705G2	ლიანდაგის მოწყობა მისი ელემენტების სიმტკიცეზე და მდგრადობაზე გაანგარიშებით	7/175	30					30	2	2	111
12	AAC03205G1	ლიანდაგის მდგომარეობის კონტროლი და შეფასება	5/125	30		15				1	1	78
13	AAC03305G1	რკინიგზების დაპროექტებისა და მშენებლობის თავისებურებები მთიან პირობებში	4/100	15		15				1	1	68
14	AAC03405G1	ლიანდაგის მოწყობის და მოვლა-შენახვის ტექნიკური პირობები და ნორმები	4/100	15		15				1	1	68
15	AAC03505G1	მეორე ლიანდაგების დაპროექტება	4/100	15		15				1	1	68
16	EET99105G1	"რელსი-თვალი" დინამიკური სისტემის ურთიერთქმედების კვლევის მეთოდები	4/100	15	15					1	1	68
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „ხიდები“												
17	AAC03605G1	რკინაბეტონის ხიდების გაანგარიშება და დაპროექტება	7/175	30		15			15	2	2	111
18	AAC03705G1	დიდიმალიანი ხიდების მშენებლობა	5/125	15		15			15	2	2	76
19	AAC03805G1	ხიდების ექსპლუატაცია და გამოკვლევა-გამოცდა	6/150	30		15	15			1	1	88
20	AAC03905G1	სეისმომედეგი ხიდები	4/100	15		15				1	1	68
21	AAC04005G1	საგზაო ხელოვნური ნაგებობების გაანგარიშების მეთოდები	4/100	15		15				1	1	68
22	AAC04105G1	ხიდების რეაბილიტაცია და რეკონსტრუქცია	4/100	15		15				1	1	68
23	AAC04205G1	ფოლადის ხიდების გაანგარიშება და დაპროექტება	4/100	15					15	2	2	66
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „სატრანსპორტო გვირაბები“												
24	AAC04305G1	მეტროპოლიტენები	7/175	30					30	2	2	111
25	AAC04405G1	მიწისქვეშა ნაგებობების მექანიკა	5/125	30		15				1	1	78
26	AAC04505G1	გვირაბების გაყვანის თანამედროვე მეთოდები	6/150	30		30				1	1	88
27	AAC04605G1	გვირაბების კოროზია და წყალმოცილება	4/100	15		15				1	1	68
28	AAC04705G1	სამთო გვირაბების მონიტორინგი	4/100	15			15			1	1	68

29	AAC04805G1	გვირაბების რევილიტაცია და რეკონსტრუქცია	4/100	15	15				1	1	68
30	AAC04905G1	გვირაბის მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტება	4/100	15	15				1	1	68
არჩევითი სამაგისტრო თემატიკა: „საავტომობილო გზები და აეროდრომები“											
31	AAC05005G1	მომრაობის უსაფრთხოების შეფასება და გაუმჯობესების ღონისძიებები საავტომობილო გზებზე	7/175	30	30				1	1	113
32	AAC05105G1	საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა რთულ პირობებში	6/150	30	30				1	1	88
33	AAC05205G1	საგზაო და სააეროდრომო ფენილები	5/125	15	30				1	1	78
34	AAC05305G1	საავტომობილო მაგისტრალები	4/100	15	15				1	1	68
35	AAC05405G1	საქალაქო გზები და ქუჩები	4/100	15	15				1	1	68
36	AAC05505G1	საავტომობილო გზები რთულ ბუნებრივ პირობებში	4/100	15	15				1	1	68
37	AAC05605G1	საავტომობილო გზების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია	4/100	15	15				1	1	68

პროგრამის ხელმძღვანელი

ნუგზარ რურუა

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

მანანა მოისწრაფიშვილი

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ფაკულტეტის დეკანი

ოთარ გელაშვილი

შეთანხმებულია

სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან

ირმა ინაშვილი

მიღებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე ოქმი N15, 03.07.2012 წ.

მოდირიგირებულია

სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე 30.03.2018 წ. ოქმი N4 ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე

ოთარ გელაშვილი